ქ. ბათუმში, 266ბ კვარტალში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ, საბავშვო ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

საკონკურსო კომისიის ოქმი №5-3

ქ. ბათუმი, **16 დეკემბერი, 2011 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მ/შ;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

თენგიზ პეტრიძე - სატენდერო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ.

სხდომას არ ესწრებოდა: დავით სამნიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე, რომელიც იმყოფება კუთვნილ შვებულებაში (ქ. ბათუმის მერის ბრძანება №3/1255, 06.12.2011).

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, 266ბ კვარტალში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ, საბავშვო ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 29 ნოემბერს გამოცხადებულ N218 კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტის სს „აჭარკაპმშენის“ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ვლადიმერ ხინთიბიძემ კომისიას მოახსენა, მოთხოვნის შესაბამისად, დასახელებულ კონკურსში გამარჯვებულმა სს „აჭარკაპმშენმა“ წარმოადგინა საკვალიფიკაციო მოთხოვ-

ნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ; გ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; დ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (საგადასახადოდან) ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.

კომისიამ დაადგინა:

1. სს „აჭარკაპმშენის“ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

2. გაფორმდეს სს „აჭარკაპმშენთან“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში;

3. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს წერილის გაგზავნა სს „აჭარკაპმშენისათვის“ არაუგვიანეს 16 დეკემბრისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის წევრები: არჩილ ვანაძე

თენგიზ პეტრიძე

ვლადიმერ ხინთიბიძე